



საჯარო სამართლის იურიდიული პირი
საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



KA020337627068416

N23-ს

ქ. თბილისი
21 / მარტი / 2016 წ.

სსიპ - საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელის
2014 წლის 25 ივლისის №52-ს ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2012 წლის 17 იანვრის № 1-1/131 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის დებულების“ მე-3 მუხლის მე-6 პუნქტის „მ“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. შეტანილ იქნას ცვლილება „სსიპ საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მუდმივმოქმედი საკონკურსო-საატესტაციო კომისიის შექმნის შესახებ“ სსიპ - საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2014 წლის 25 ივლისის № 52-ს ბრძანებაში და ბრძანების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. შეიქმნას სსიპ - საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მუდმივმოქმედი საკონკურსო-საატესტაციო კომისია (შემდგომში - კომისია) შემდეგი შემადგენლობით:

1.1. გიორგი ჩოგოვაძე - საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელი - კომისიის თავმჯდომარე;

1.2. მედეა ჯანიაშვილი - ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილე - კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;

1.3. თეა რუსიტაშვილი - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის უფროსი - კომისიის წევრი;

- 1.4. ნინო მურჯიკნელი - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი - კომისიის წევრი;
- 1.5. ნატალია კვაჭანტირაძე - საქართველოს ტურიზმის ასოციაციის თავმჯდომარე - კომისიის წევრი;
- 1.6. თამარ ჩიკვაძე - ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილე - კომისიის წევრი;
- 1.7. რუსუდან მამაცაშვილი - ადმინისტრაციის ხელმძღვანელის პირველი მოადგილე - კომისიის წევრი;
- 1.8. სალომე იმნაძე - ადმინისტრაციული სამმართველოს უფროსი - კომისიის წევრი;
- 1.9. ანა ჩიქოვანი - იურიდიული სამმართველოს უფროსი - კომისიის წევრი;
- 1.10. თამარ მაისურაძე - ტურისტული პროდუქტისა და მცირე ინფრასტრუქტურის განვითარების სამმართველოს უფროსი - კომისიის წევრი;
- 1.11. ნუნუ მაყიშვილი - ადმინისტრაციული სამმართველოს საფინანსო განყოფილების უფროსი - კომისიის წევრი."

2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

ხელმძღვანელი



გიორგი ჩოგოვაძე